პრესრელიზი

5 ივნისი, 2019

<u>ახალი მედია ინიციატივა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპელი ჟურნალისტების თანამშრომლობისათვის:</u>

ADAMI Media Prize იწყებს ახალ პროგრამას - ADAMI TANDEM

ოთხ ევროპულ საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, „ADAMI მედიის პრიზმა აღმოსავლეთ ევროპაში კულტურული მრავალფეროვნებისთვის“ გამოაცხადა მიღება ახალ მედია პროგრამაზე - **ADAMI TANDEM**. ეს ინიციატივა განკუთვნილია **სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინასა** და **ბელარუსში** მოღვაწე ტელევიზიებისთვის და ტელეჟურნალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ თემებზე.

ADAMI TANDEM აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაუწყებლებს შესაძლებლობას აძლევს, დაამყარონ კავშირები ევროკავშირის ქვეყნების მაუწყებლებთან და შექმნან ისეთი სატელევიზიო პროდუქტი, რომელიც გასცდება მათი რეგიონის საზღვრებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის ჟურნალისტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატელევიზიო სუჟეტის მონახაზი, რომლის წარმოებაც სურთ 2019 წლის ზაფხულში და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 4 წუთს.

ADAMI- ის და ევროპული მაუწყებლობის წარმომადგენელი რედაქტორებისგან შემდგარი საერთაშორისო საკონკურსო კომისია შეარჩევს შემოსული წინადადებებიდან ისეთებს, რომლებიც შეესაბამება ჩვენი ოთხი სამაუწყებლო პარტნიორის თემატურ შინაარსს : ZDF- ის "Mittagsmagazin", SWR- ის "Europamagazin", გერმანულ-ფრანგული კულტურული არხი ARTE- ს ყოველდღიური სატელევიზიო ჟურნალი "ARTE Journal" და Deutsche Welle- ის პროგრამა "Focus on Europe".

შერჩევითი პროცესის შემდეგ, თითოეული ჩვენი პარტნიორი სატელევიზიო პროგრამიდან ერთი ჟურნალისტის და მათ მიერ არჩეული აპლიტაკნის მონაწილეობით შედგება „ტანდემი“. თითოეული „ტანდემი“ ერთობლივად აწარმოებს სატელევიზიო პროდუქტს, რომელიც ტრანსლირდება როგორც გამარჯვებული აპლიკანტის ქვეყნის სამაუწყებლო კომპანიის ეთერში, ასევე ჩვენს პარტნიორ ევროპულ ტელეარხებზე.

The ADAMI Media Prize for Cultural Diversity is an initiative of
ADAMI Medienpreis gGmbH – Mediencampus Villa Ida – Menckestr. 27 – D 04155 Leipzig – Germany
Funded by the Federal Foreign Office (Germany) and Pro Credit Holding (Frankfurt)
www.adamimediaprize.eu

ADAMI TANDEM- ის ოფიციალური გახსნა პარასკევს, 24 მაისს საქართველოს პარლამენტის შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის "ევროპა, საქართველო" ფარგლებში შედგა. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ **მარიამ ჯაშიმ** და ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ **თამარ ხულორდავამ** თავიანთ გამოსვლებში ხაზი გაუსვეს საქართველოსა და რეგიონისთვის ADAMI Media Prize- ის ინიციატივების მნიშვნელობას, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გამყარების კატალიზატორზე.

საქართველოში გერმანიის ელჩმა **ჰუბერტ ქნირშმა** ხაზი გაუსვა ADAMI Media Prize- ის საქმიანობას, რომელიც ბოლო 4 წელია ფინანსდება გერმანიის ფედერალური საგარეო უწყების და პროკრედიტ ჰოლდინგის მიერ; ელჩმა ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურის სამინისტროს მისი მხარდაჭერისთვის, რაც 2019 წლის ADAMI-ის გარკვეული აქტივობების ფინანსურ მხარდაჭერას მოიცავს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, **მიხეილ გიორგაძემ,** ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ADAMI-ს პროქტის ფარგლებში ჟურნალისტებისთვის და კინემატოგრაფებისთვის ჰორიზონტის გაფართოება და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.

ADAMI TANDEM-ის პროგრამის პრეზენტაცია გააკეთეს და პროგრამა ოფიციალურად გასნილად გამოცხადეს შტეფან ტოლცმა, ADAMI მედიის პრიზის დირექტორი და Deutsche Welle- ის უსაფრთხოების პოლიტიკისა და საზოგადოების განყოფილების ხელმძღვანელმა ქრისტიან ტრიპემ. ბატონმა ტრიპემ ხაზი განსაკუთრებულად იმას გაუსვა, რომ DW-ს „Focus on Europe“ 16 ენაზე მაუწყებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პროგრამა ADAMI TANDEM-ში მონაწილე ჟურნალისტებს მათი პროდუქციის მსოფლიო არენაზე გატანის შესაძლებლობას აძლევს.

ახალი ინიციატივის გამოცხადებას პარლამენტში მოჰყვა ADAMI Media Prize- ის კონკურსში ნომინირებული და გამარჯვებული ქართული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ჩვენება, სადაც დამსწრე საზოგადოება ხუთ სხვადასხვა ქართულ კინოპროდუქციას გაეცნო.

ADAMI TANDEM ორგანიზებულია ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) მხარდაჭერით და მასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ADAMI TANDEM-ში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, მიჰყვეთ ბმულს: https://www.adamimediaprize.eu/adami-tandem

წინადადებების შემოტანის ბოლო ვადაა **2019 წლის 24 ივნისი.** შერჩეულ კანდიდატებთან დაკავშირება მოხდება 2019 წლის 5 ივლისამდე.

<u>**სურათები:**</u>

ფოტო.1: ADAMI Media Prize- ის პროგრამის დირექტორი შტეფან ტოლცი ADAMI TANDEM-ის გამოცხადებისას.

ფოტო.2: მარიამ ჯაში, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე 24 მაისს საქართველოს პარლამენტში მისასალმებელი სიტყვის დროს.

ფოტო.3: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ჰუბერტ ქნირში 24 მაისს საქართველოს პარლამენტში მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას.

ფოტო.4: სტუმრები პოლიტიკის, კულტურის და მედიის სფეროდან თვალყურს ადევნებენ ADAMI TANDEM პროგრამის გამოცხადებას საქართველოს პარლამენტში.

ფოტო.5: სტუმრები სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციიდან ესწრებიან ADAMI TANDEM ინიციატივის გამოცხადებას საქართველოს პარლამენტში.